



ს ა ქ ა რ თ ვ ე ლ ო
ახმეტის მუნიციპალიტეტის საკრებულო



განკარგულება:გ-87. 87232145

თარიღი:02/08/2023

განკარგულება №23

საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტით გათვალისწინებული საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან დასაფინანსებელი ადგილობრივი თვითმმართველობის პროექტების თაობაზე ახმეტის მუნიციპალიტეტის მერის მიერ წარმოდგენილი საპროექტო წინადადების მოწონების შესახებ

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“ 24-ე მუხლის მე-2 პუნქტის, 61-ე მუხლის მე-2 პუნქტისა და 62-ე მუხლის პირველი პუნქტის, საქართველოს მთავრობის 2013 წლის 7 თებერვლის №23 დადგენილებით დამტკიცებული „საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტით გათვალისწინებული საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან დასაფინანსებელი ადგილობრივი თვითმმართველობის და რეგიონული პროექტების შერჩევის პროცედურები და კრიტერიუმების“ მე-2 მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად, ახმეტის მუნიციპალიტეტის საკრებულომ

გ ა დ ა წ ყ ვ ი ტ ა:

1. მოწონებულ იქნეს საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტით გათვალისწინებული საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან 2023 წელს დასაფინანსებელი ადგილობრივი თვითმმართველობის პროექტების თაობაზე ახმეტის მუნიციპალიტეტის მერის მიერ წარმოდგენილი საპროექტო წინადადება დანართის შესაბამისად.
2. დაევალოს ახმეტის მუნიციპალიტეტის მერს განსახორციელოს საპროექტო წინადადებების ინიცირება საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროში.
3. განკარგულება გადაეგზავნოს ახმეტის მუნიციპალიტეტის მერიას, საჯაროდ გამოქვეყნდეს ახმეტის მუნიციპალიტეტის ვებგვერდზე akhmeta.gov.ge, აგრეთვე განთავსდეს საკრებულოს საინფორმაციო დაფაზე და ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.
4. განკარგულების გასაჩივრება შეიძლება გამოქვეყნებიდან ერთი თვის ვადაში თელავის რაიონულ სასამართლოში (ქ. თელავი, აღმაშენებლის ქ. №41).

იოსები ქარუმაშვილი

ახმეტის მუნიციპალიტეტის საკრებულო-საკრებულოს თავმჯდომარე

გამოყენებულია კვალიფიციური ელექტრონული ხელმოწერა/ ელექტრონული შტამპი



ახმეტის მუნიციპალიტეტი 2023 წლის რეგიონული პროექტები

დანართი “ 2

| № | | პროექტები | პროექტის სრული ღირებულება (საპროექტო დოკუმენტაციის ღირებულების გარეშე) | მ.შ. მიმდინარე წელს ფონდიდან მოთხოვნილი თანხა | მ.შ. თანადაფინანსება | პროექტის განხორციელების სავარაუდო ვადები | შენიშვნა |
|---|---|--|---|---|----------------------|--|----------|
| 1 | 1 | სოფ. ზემო ალვანში მინი სპორტული მოედნის რეაბილიტაცია | 112,156.00 | 112,156.00 | 0.00 | 15.09.2023 25.12.2023 | |
| 2 | 2 | სოფ. ზემო ხოდაშენში ჭაბურღილის მოწყობა | 166015.1 | 166015.1 | 0.00 | 15.09.2023 25.12.2023 | |
| 3 | 3 | სოფ. კოლოთოში ჭაბურღილის მოწყობა | 139662.27 | 139662.27 | 0.00 | 15.09.2023 25.12.2023 | |
| 4 | 4 | სოფ. ქისტაურში შიდა საუბნო გზის რეაბილიტაცია | 342,775.00 | 342,775.00 | 0.00 | 15.09.2023 25.12.2023 | |
| 5 | 5 | სულ; | 760,608.37 | 760,608.37 | | | |